ავლაბარი. „სოფელი ვნახე უძღები, შიგ გავიარე უჯიხოთ“, ეს ანდაზა ზედ გამოჰკრავს ავლაბრის მცხოვრებლებზე. ტრამვაის რკინის გზაზე არსად არ სდებს ისე ამბები, რომელსაც ავლაბარში აქვს ადგილი. ბილეთების დარიგების დროს არსად კონკას არ აჭერებენ, ავლაბარში კი ეს წესათ შემოღებულ. ტიციანოვის შუა ადმართზე კონკას აჭერებენ და სანამ ეყენა მგზავრებს ბილეთებს არ დაურიგებენ, გაგონს ადგილიდან არ დასძრავენ. მგზავრების საყვედურებს არავინ უგრადებს არ აქცევს. კონდუქტორები ხასუხათ ამბობენ: ახლა ბძანება ასეთი გვაქვსო. ხშირათ ხდება, რომ ხალხით გაჭედილი ვაგონი 10—15 წუთი დგას ერთ ადგილას, სანამ ეყენა ბილეთები არ დაურიგდებათ. ვინც ხვთლუქში არ მიდის, კონკიდან გადმოდიან და ფეხით წასვლას ამჯობინებენ

ხოლმე. ვორონცოვის ხიდიდან აღებული შაურიანი ბილეთები ტყუილა კარგებით ქალაქის მამებს სხვა დროს მართლა გვჭირდებათ, რომ ახლა მოიცლონ, სუფთა წყალი თხოვნას თხოვნაზე გვგზავნით ქალაქის თვითმართველობაში და ვთხოვლობთ 300 მანეთიანი ხიდის დირსი გაგვხადონ, მაგრამ ეურსაც არავინ იბერტყავს. კახეთის ხეყს გაღადმა მცხოვრებლებმა ტყუი ამინდის დროს ან შეტრე შავლეს ხიდს უნდა მიმართონ, ან კახეთის ქუჩით უნდა მოიარონ, რომ სახლში დაბრუნდეს. ქალაქის მამებს ავდარის მცხოვრებნი მხოლოდ გაღასხადების აკრეფის დროს გაახსენდებათ ხოლმე, სხვა დროს კი მათთვის თავს არ იწუხებენ..

ადგილობრივი.

ახალი ნაკადული სახალხო განათლების საქმეში.

(ქუთაისის სახალხო უნივერსიტ. მოქმედების გამო)

II

14 თებერვალს სახ. უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა უკვე მეორე სახალხო ლექცია გამართეს აქ. ეტყობა, იგი უკვე შეუდგა სისტემატიურ მოქმედებას; ეტყობა, მისი ხელმძღვანელნი ამ საქმისათვის ძალ-ღონეს არ ზოგვენ, სულით და გულით უნდათ მოარწყონ ამ ახალი ნაკადულით ჩვენი ცხოვრების გაყამირებული ნიადაგი. და მართლაც, დროა ჩვენმა ინტელიგენციამ სკოლებს გარეთ დარჩენილ მშრომელ ხალხს მეცნიერული ცოდნის შეძენა გაუადვილოს. საჭიროა ქუთათურმა ინტელიგენციამ თავი მოიყაროს ამ სახალხო-კულტურულ დაწესებულების ჭერ-ქვეშ და მის გაძლიერება-გაღონიერებას მეტი დრო და ენერგია შესწიროს. საჭიროა, რომ ის ნდობა, რომელიც ინტელიგენციამ სხვადასხვა დაწესებულებებში სამსახურით დაკარგა, ვერ წაუძღვა რა მათ სახელოვანათ,—დღეს ამ წმიდა სახალხო დაწესებულებაში გულწრფელ მოღვაწეობით აღადგინოს, თუ უნდა, რომ „ხიდი მუდამ ჩატეხილი“ არ იყოს მისა და ხალხს შორის. ვისაც „თვალი ხედვათ აქვს და ყური სმენათ“, დღეს ჩვენ „საავარდო და სამაისო ქუთაისშიაც“ ველირსეთ ამ სახალხო საქმიანობის მოწყობა-მოგვარებას; დროც ესაა და მაშ მოუწოდოთ ამ სამეცნიერო ტაძარში სამეცნიერო მოძღვრებათა საქადაგებლათ მდაბიო ხალხის შესამეცნებლათ, მათ გასათვითცნობიერებლათ. საქმე მოწყობილი და დაწყებულია. საჭიროა მისი ძალების შემატება, გაღონიერება, პროგრამის გაფართოება, აქტიურ მომქმედ პირების შემატება და ამ რიგათ, ერთსულოვანი, გაბედული და გულწრფელი მოღვაწეობა..

ახლა ორიოდე სიტყვა 14 თებერვლის

ლებმა გადასწყვიტეს ნავ-ტიკით გასვლა მიეტოვებინათ და იერიში მიეტანათ ხიდიდან, მაგრამ თუ კავკასიელები, რომელთა რიცხვი არ აღემატებოდა ოც კაცს, შესაფერად კარგად იყვენ შეიარაღებული, ჭურთებს ყველას კაჟიანი თოფები ეჭირათ, ისიც სამ-სამი სროლის საგძლით. ამისათვის კავკასიელებმა არჩიეს ჯერ-ჯერობით თავი დაენებებიათ მტერზე მისვლისათვის და უკან დაბრუნდენ.

წვიმამ კიდევ უმატა. სალოკლდეებში ქალამნებით სიარული ყოვლად შეუძლებელი შეიქნა კავკასიელთათვის. ორი ვერსის სიმაღლე კლდე მეორე დღის დილის ათ საათზე ძლივს აღწიეს და ფეხებ-დასერილები დაღალულ-დაქანცულები მნახველნი კარავებში მიიფანტ-მოიფანტენ. ყუმბარები წვიმას ისე დაესველებინა, რომ ექვსში არც ერთი არ გასქდა.

შორიდანვე მოსჩანდა, რომ მტერს ცხენოსანი ჯარი ემატებოდა და სროლა მატულობდა. ეხლა ხომ რევოლიუციონერები სულ იძულებულნი ხდებოდენ მტერზე იერიშის მიტანაზე ხელი აეღოთ და ხარზანში მყოფ ამხანაგებისათვის ეცნობებინათ ამბუში მდგომარეობა, აგრეთვე ერჩიათ, ხარზანელებს უკანიდან აზვინის გზით წამოეველოთ მტრისთვის. თუმცა ამბუში მყოფ რევოლიუციონერებსაც არ გაუჭირდებოდათ მტერზე მისვლა, მაგრამ ზარბაზნების უქონლობის გამო იძულებულნი ხდებოდენ სხვა გვარათ როგორმე მოქცეულიყვენ. ამბუს მთიულეთიდანაც მათ განადგურებით ემუქრებოდა ვინმე სეიდ-ნიზამი, რომლის წინააღმდეგ გაიგზავნა 40 კაციანი პატარა დათიკოს და არსენას ხელმძღვანელობით. (ეს არსენა აგერ ექვსი წელიწადია სპარსეთში იმყოფება. რჯული გამოუცვლია და ალი-ხანს უწოდებენ. გვარათ თოიძეა გურულია 1909 წ. 8 დეკემბერს ის ენზელიში დაატუსაღეს რაზმელებმა შანტაჟისტობისათვის და გადასცეს რეშტის გუბერნატორს. რაზმში ყოფნის დროს პატიოსნათ იქცეოდა) რაზმი დროზე ჩავიდა სეიდ-ნიზამის სოფელში. ყველას იარაღი აჰყარა და სეიდ-ნიზამს წინადადება მისცეს რევოლიუციონერებს შეერთებოდა, რაც მან აი სრულა.

ხარზანში მყოფ რაზმთან ორი ქართველი წავიდა, რომლებმაც ურჩიეს ყაზვინის გზით უკანიდან მოვლა და თავს დაცემა ამბუში მყოფ მტრისათვის, მაგრამ ხარზანელებს არ ეცალათ მათთვის, რადგანაც მათ სოფ. ნაჭში შეტაკება მოუხდათ რეაქციონერებთან. თუმცა მტერი დამარცხდა, (მტერს მოუკლეს 104, დაუჭრეს 70 კაცი). მეტი წილი დახოცილ დაჭრილებისა უდანაშაულო ხალხი აღმოჩნდა. ამოდენა ხალხის დახოცვა ტყუილ-უბრალოთ, ბრალად ედებოდა ეფრემს, რამაც მითქმა-მოთქმა და კინაღამ არეულობა გამოიწვია სპარსელებში, მაინც ხარზანელებს სურსათი შემოკლებოდათ და ამბუში წასვლა ვერ გადასწყვიტეს თვით ეფრემიც ყოყმანშია. ამბუში წასვლას ერიდება. ის ლოდინშია, რომ ხარზანში ყველა საუკეთესო ძალებმა მოუყაროს თავი, რის შემდეგაც ერთად გაილაშქრონ ყაზვინზე.

ამბუში მყოფ რაზმს ლოდინში იმედი დაეკარგა და ისევ მარტო არჩია მტერზე მისვლა, მაგრამ ზემო ხსენებული ამიდი-სულთანი რაღაც ყოყმანშია და ცდილობს ხელი შეუშალოს რაზმს, რომ მტერზე არ მივიდენ. ის ასე თურმე იმისათვის იქცეოდა, რომ რაც მეტი ხანი დარჩებოდა ამბუში, უფრო გაისქელებდა ჯიბეს. ის თურმე მუქარით ახდევინებდა მცხოვრებლებს ფულს, გლეხებს სცარცავდა და რასაც მოისურვებდა იმას სჩადიოდა. კავკასიელები მიუხვდენ ამიდი-სულთანს და ჩუმათ თვალყურის დევნება დაუწყეს. ამიდი სულთანიც მათ, სამაგიეროთ, მიუხვდა თუ რა საფრთხე მოელოდა და კავკასიელების დროებით თავიდან მოცილება განიზრახა. მან კავკასიელთა რაზმს წინადადება მისცა სხვა სოფელი დაეპირათ. ეხლა კი ველარ მოითმინეს კავკასიელებმა და ქართველმა პატარა მიშამ მის მოსაკლავად გაიწია. ამიდი-სულთანმა დამალვით უშველა თავს. კავკასიელებმა მიატოვეს ამიდი-სულთანი და იერიში მიიტანეს მტერზე. ცოტა ხნის სროლის შემდეგ მტერი გაიქცა და მთის სოფლებს შეეფარა, მაგრამ რაზმი გამოეკიდა მას და მოსვენებას არ აძლევდა. ღამე რაზმმა დაიკავა კიაზ-ნიზამის სოფელი, გარშემო დარაჯები დააყენა და მტერს კიდევ ელოდა. შუა ღამე იყო, როდესაც დარაჯებმა შენიშნეს მთებისკენ მომავალი რაზმი. „ქიმდი“ (ვინ ხარ) იყო შეკითხვა: „სან ქიმ ვარ“ („შენ თვითონ ვინ ხარ“) იყო პასუხი და მორიგმა დარაჯმა თოფი ესროლა მტრის რაზმს. რაზმი ქვევით სოფლისაკენ გაიქცა, მაგრამ თოფის ხმაზედ დანარჩენი რევოლიუციონერები წამოცვივდენ, წინიდან გზა შეუკრეს გაქცეულებს და 10 ქალი და კაცი შეიპყრეს.

შეპყრობილებში აღმოჩნდა სულ უმცროსი შვილი კიაზ-ნიზამისა, მოურავი და უფროსი ცოლი. რევოლიუციონერებმა გარდა კიაზ-ნიზამის შვილისა ყველა გაანთავისუფლეს, უფროსი შვილი კი, ჯარის ხელმძღვანელი წისქვილში დამალულიყო. ეს პატარა ტყვე გურჯებმა თან წაიყვანეს და გასწიეს ხარჭანისაკენ. ქურდ-მძარცველი ამიდი-სულთანი ამბუში მიატოვეს, რომელიც მხოლოდ ყაზვინის აღების შემდეგ ჩავიდა ყაზვინში.

უმცროსი ვაჟიშვილის ტყვეობამ, რომელიც ყველაზე საყვარელი იყო თურმე მოხუც მშობლებისათვის, თავზარი დასცა კიაზ-ნიზამს. ის კარგად უწყოდა, რომ თუ გაბედავდა რამეს რევოლიუციონერების საწინააღმდეგოს, საყვარელ შვილს ველარ იხილავდა. მეტი გზა არ იყო, უნდა იარაღი დაეყარა და დამორჩილებოდა რევოლიუციონერებს. აი ამ პატარა ტყვით ისარგებლეს რევოლიუციონერებმა, რომელმაც უდიდესი სარგებლობა მოუტანა მთელ სპარსეთს. თუ რევოლიუციონერებს ეს ბავშვი არ ჩაეგდოთ ხელში, მათ ყაზვინის აღება ძალზე გაუჭირდებოდათ და შეიძლება დამარცხებულიყვენ. ამას გვიმტკიცებს ის, რომ თუმცა კიაზ-ნიზამი თავის 700 ქურთით შვილის გულისთვის ადრევე დანებდა რევოლიუციონერებს, ბრძოლამ მაინც ჩვიდმეტი საათი გასტანა ყაზვინში და ცოტას გაწყდა, არ დამარცხდენ რევოლიუციონერები.

19 აპრილს ხარზანიოან შეერთებული რევოლიუციონერთა რაზმი დაბანაკდა თეირანის გზაზე ს. ბეკენდში. ს. ბეკენდი მოტიტვლებულ მინდორზე მდებარეობს, საიდანაც 30 ვერსის სიშორეზე მოსჩანს მუდამ მწვანე ყაზვინის არე-მარე. ყაზვინის სიახლოვით, მარცხნივ თეირანის გზისა, მდებარეობს სოფელი, რომელშიაც ამ დროს რევოლიუციონერების მოლოდინში შახის ჯარი იდგა. რევოლიუციონერებმა გაიგეს თუ არა ჯარის ბინა, მაშინვე მოახტენ ცხენებს და გასწიეს სოფლისკენ. როდესაც რაზმი სოფელს მიუახლოვდა, ორათ გაიყო და გარს შემოერტყა, მაგრამ სოფელში არავინ დახვდათ. ჯარს იმ დილით ბინა გამოეცვალა. ახლა რაზმს მეტი გზა არ ქონდა, ყაზვინზე უნდა მისულიყო. რაზმი შეფიქრიანდა და არ იცოდა რა ექნა. რეშტის გზიდან ყაზვინში შესვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. მთელ ყაზვინს გარშემო ორი საჟენის სიმაღლე კედელი აქვს შემოვლებული და ყველა მხრიდან შესავალ გზებში მაგარი ალაყაფის კარებია, რომლებიც ღამის ათ საათზე ყოველ დროს იკეტებოდა და შესვლა უნიშნოთ არავის შეეძლო. რეშტის გზის შესავალ ალაყაფის კარის გვერდით გარედან იყო კარგა მოზრდილი ჭარვასლა, რომელშიაც 700 ყარადაღელით ჩასაფრებული იყო მოსი-ხანი. ეს მოსი-ხანი რამდენიმე ხნის წინათ აპირებდა რევოლიუციონერებთან შეერთებას და შემდეგ კი ღალატს, მაგრამ ყაზვინიდან მოსულმა ცნობამ რევოლიუციონერებს თვალი აუხილა და მოსი-ხანს უარი უთხრეს, რის შემდეგ მოსი-ხანი აშკარათ შეუერთდა ყაზვინში მყოფ შახის ჯარს და რევოლიუციონერებს ემუქრებოდა.

ყარადაღელები სპარსეთში კარგი მებრძოლი ხალხია და მათთან კარებშივე შეტაკება რევოლიუციონერებს იაფად არ დაუჯდებოდათ. ამისათვის რაზმმა გადასწყვიტა ასცდენოდა რეშტის შესავალ გზას, მოევლო თეირანის გზით და ქალაქში ისე შესულიყო. ყაზვინში მყოფი ჯარი სრულიად არ მოელოდა თეირანის გზით მტერს და მთელი ძალა შიგ ქალაქში იყო დაფანტული.

კარგად შებინდდა როდესაც რაზმმა გადაუხვია მარჯვნივ რეშტის გზას და მინდორ-მინდორ ცხენების ჭენებით მოურ-

ლექციებზე. ამ დღეს აუდიტორიას, მსმენელებს მომეტებულათ მდაბიო და საშუალო ცოდნით აღჭურვილნი შეადგენდენ. ესენი გულმოდგინეთ და მოწიწებით უსმენდენ ლექტორებს, რომელთაც თავი არ შეურცხვენიათ მათ წინაშე.

14 თებერვალს ორი ლექცია წაიკითხეს სახ. უნივერსიტეტის გულშემატკივარ-ხელმძღვანელებმა. პირველი იყო ექიმი კონსტანტინე ტყეშელაშვილისა: **„ფიზიოლოგია და მისი მნიშვნელობა“**, ხოლო მეორე ისტორიიდან, ქართული გიმნაზიის მასწავლებლის ალექსანდრე გარსევანაშვილისა: **„ვახტანგ მე-6 კანონმდებელი“**. ბ ტყეშელაშვილმა საკმაოთ თავდაბლურის კილოთი დაიწყო თავის პირველი ლექცია, რომლის შესავალში აღნიშნა: თუ რაგვარ ლექციების კითხვას აპირებს იგი, რა ღირსებისა იქნება და ვისთვისაა ისინი გამზადილი. მან მოუბოდიშა კიდეც მამენელებს: ვაი თუ ის საგანი, რომელზედაც მე თქვენთან ბაასს ვაპირებ, მეტათ და უადგილოთ ჩამითვალოთო; თუმცა ამის რწმუნება მეტი იყო, რადგან ფიზიოლოგია მეცნიერების ისეთი, პრაქტიკულათაც საჭირო, ცხოვრებაში ყოველდღიურათ გამოსადეგი დარგია, რომ მის უნივერსიტეტის პროგრამაში შეტანას უვიც და ხეპრეების მეტი ვერავინ დაძრახავდა ლექტორს და ასეთებისათვის კი ბოდიშიც მეტია.

ლექტორს თავის მსმენელებათ დაუსახავს მდაბიო მშრომელი ხალხი, მოზარდი თაობა, დაბალი და საშუალო ინტელიგენცია და არა უმაღლეს სასწავლებელში განათლება და დიპლომ მიღებულ ინტელიგენტნი, რომელთაც სასწავლებლებში უკვე მოუსმენიათ სისტემატიურათ მეცნიერების სხვადასხვა დარგები.

საზოგადოთ, ამ ახალგაზდა ლექტორის ლექცია კარგი, შინაარსიანი და გასაგები იყო. ეტყობა მას სინდისიერათ უმუშავნია მაზედ, რომ მეცნიერების ეს დარგი ასე გასაგებათ გადმოუქართულებია. მხოლოდ ამასვე ვეღარ ვიტყვით თვით წაკითხვაზე. იგი მეტათ აჩქარებულათ, განუწყვეტლათ, უპაუზოთ, შეუჩერებლათ კითხულობდა მას. ეს კი სამეცნიერო ლექციების კითხვას როდი შეფერის. აქ ხომ აუდიტორია ძველი ალთქმის ისტორიულ ზღაპრებს არ უსმენს ლექტორს, რომ ლექციის საზოგადო აზრი გაიგოს და მეორე დღეს ზეპირვით მოაგონოს იგი! პირიქით, აქ საჭიროა ყოველ სიტყვის, წინადადების ხმამაღლა, მკაფიოთ, დინჯათ, ღიღადებით გამოთქმა, რათა ეს აზრები შთაებეჭდოს მსმენელს მეხსიერებაში, მას ცოდნა დარჩეს გონებაში, ლექტორის ნალაპარაკევი გარკვევით აღიბეჭდოს მსმენელის გულსა და თავში. ეს თვისებანი კი ადვილათ მოიპოვება, მისით აღჭურვა შრომასა და პრაკტიკაზეა დამოკიდებული და ყოველივე ამის უნარი, ჩანასახი ექიმ ტყეშელაშვილს აქვს და „უეჭველია იგი მას განავითარებს და სამომავლოთ იგი უფრო დავაჟკაცებული წარმოგვიდგება თვალწინ.

ფიზიოლოგია ხომ ისეთი დარგია მეცნიერებისა, რომლის თვალსაჩინო ჩვენება, სურათებით ახსნა წაკითხის თუ ნათქვამის, ძლიერ საჭიროა. ჩვენი ახალგაზდა ლექტორი კი აქაც აჩქარდა და ეს საქმეც უცებ მოილია, გადაავლებინა რა თვალი მსმენელს მისგანვე მოტანილ ადამიანის სხეულის აგებულობის სურათებს, რომელსაც უფრო ხანგრძლივი ახსნა, დაწვრილებით ჩვენება ესაჭიროებოდა აუდიტორიისათვის.

აქვე მინდა აღვნიშნო ლექციებზე დამსწრე უბრალოთ მჭირდავთა ცუდი საქციელი. ბევრნი ლექციებზე თავის შექცევის გარდა, იმ მიზნითაც დადიან, რომ ჭუჩაში, ბულვარზე სალაპარაკოთ გაიხადონ ესა თუ ის ლექტორ და თავი შეიქციონ მათზე დაცინვის კილოთი მუსაიფით.

ასეთი საქციელი კი სახ. უნივერსიტეტის მსმენელებს არ შეფერის და ამგვარებს ურჩევთ რაც ადრე ჩამოშორდებიან ამ წმინდა საქმეს, მით უკეთესია, მათ ადგილს უფრო შესაფერისნი დაიჭერენ. ქუთათურ ახალგაზდა ლექტორებისაგან საუკეთესო პროფესორ-ლექტორებივით გამოცდილება-დახელოვნებას ჯერ-ჯერობით მაინც ვერ მოვითხოვთ და ჩვენი უადგილო, თუ უტაქტო დაცინვებით, თუ მათ ამ კეთილ საქმეზე ხელი ავაღებინეთ, გული ავუცრუვეთ, ისევ—მილიუკოვ-კარეევ და მათგვარ ლექტორებს აქ არავინ ჩამოგვიყვანს და ბოლოს სახალხო უნივერსიტეტის სახელწოდება ღა შეგვრჩება ხელში...

14 თებერვალს მეორე ლექცია მასწავლებელ ალ. გარსევანაშვილმა წაიკითხა. მას თავის ლექციის საგნათ ჩვენი ისტორია აერჩია და აქ კი იგი ამ ხელათ შეჩერებულა მეთვრამეტე საუკუნეზე და მართლაც ნათლათ, გარკვევით და ყველასათვის გასაგებათ დაგვისურათა მან ჩვენი ისტორიის ეს საბედისწერო საუკუნე, ვახტანგ მეექვსის პოლიტიკურათ დაცემის ხანა. ესეც, როგორც პირველი ლექტორი, დაპირდა მსმენელებს ესაუბროს მათ დრო გამოშვებით საქართველოს ისტორიიდან. მეტათ მოხდენილი და დროის შესაფერი მართლა სახალხო უნივერსიტეტს მსმენელებისათვის საქართველოს ისტორიიდან ადვილ-გასაგები ლექციების კითხვაა. ბ. გარსევანიშვილის ლექციას არა თუ მდაბიო მსმენელნი, ბევრი რუსულ და უცხო ენებზე აღზრდილნი ინტელიგენტნი, აფიცრები და ჩინოვნიკებიც გულმოდგინეთ ისმენდენ, რადგან მათ ყურს, უეჭველია, პირველათ სმენია სამშობლო ისტორიიდან ამგვარი ლექციები. და ან კი სად უნდა მოისმინონ იგი?! პირველ დაწყებით, საშუალო, თუ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ყველაფერს ასწავლიან და ქართულს ან სულ არა, ან კიდევ საყველპუროთ იმეტებენ, მაგრამ ესეც ფაქტიურათ ყბად-ასაღებ და წყალ-წასაღებ საქმეთაა მიჩნეული?!...

ამიტომ სახალხო უნივერსიტეტის ტაძარში ამ გვარი ლექციების კითხვა,—ეს ერთგვარი საზოგადოებრივი შკოლა იქნება ქალაქის მკვიდრთათვის, რომელსაც არც სწავლის მოწმობა დასჭირდება, აქ არც სასწავლო წლიური გადასახადია, არც კეთილსაიმედობის მოწმობა პოლიციიდან და არც სხვა ამგვარი სახ.-განათლებისსულის შემხუთავი პირობები. ამიტომაც ამგვარათ ლექციების მკითხველნი ერთი ორად უკეთეს პირობებში არიან.

კერძოთ ბ. გარსევანიშვილის ლექციაც შინაარსიანი იყო. მანც ადვილ-საგების ენით დაახასიათა მეცხრამეტე საუკუნის ახალ ცხოვრებისაკენ გარდმოვალი ხანა, მეფე ვახტანგ—VI-ის დადებითი კულტურული მოღვაწეობა და უარყოფითი მისი პოლიტიკოსობა, რომელშიაც მან საკმაო სიბეცე გამოიჩინა თავის ერის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში.

ბ. გარსევანიშვილის ლექცია თავის შინაარს გარდა, საინტერესო შეიქნა ლექტორის თავისუფალი და დალაგებული კითხვა-ლაპარაკითაც. მას არ ეტყობოდა წინა ლექტორებივით ლექციების კითხვაში გამოუცდელობა, აჩქარება, მანოტონური, გაბმული ხმით კითხვა. იგი აუდიტორიას მამაშვილურათ ელაპარაკებოდა; მართალია, ესეც სხვებსავით დაწერილ ლექციას კითხულობდა, მაგრამ ისე, მოხდენილათ რომ ზეპირათ წარმოთქმული გეგონებოდა. ლექტორი აუდიტორიამ ტაშის ცემით დაახლდოვა.

ასო.

ᲕᲘᲜᲐᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ?

(ჩოლოქის მამულის გამოსყიდვის შესახებ გურიაში)

თანახმათ სახელმწიფო-სასზნაურო ბანკის მმართველის წინადადებისა გურიის ახალშენების რწმუნებულებმა ვიქონიეთ მოლაპარაკება დეპუტატ-მკვანეთის წარმომადგენლებთან. 15 თებერვალს ოზურგეთში მოვიდა 12-მდე კაცი, რომლებმაც თავიანთ თავს რწმუნებულები უწოდეს. ჩვენ ვეუბნებით მათ ეგეთი, გასთხოვეთ მშვიდობიანათ საქმის გათავებას, უკანასკნელ შეთხვევაში სამედიატორო სამართალში გამოწოდა. გვთხოვეს: ვადა მოგვეს გვადრეგეთ, ხალხს მოველაპარაკებით და გადაწრიდს შემდეგ მოგახსენებთო.

მეორე დღეს გამოცხადა 5 კაცი და კიდევ დრო გვთხოვეს, თან დაუმატეს: გუშინ რომ კაცები მოგველაპარაკეთ, ისინი რწმუნებულები არ ყოფილან, ჩვენ მოგასწარით თორემ უფრო «ვსტიოსანი» კაცებს გაახლებდითო.

მესამე დღეს, დიდის, ერმიდე ნაკუშაძესთან გვჭონდა საუბარი. «მეო,—სთქვა მან,—რაგორც ჩოდჭის მამულის ყოფილ მესაკუთრეს, სურვილი მაქვს გამოვეცადო ის (მამული) ბანკიდან და შემდეგ მოგეყიდო მას, ვინც მეტ ფულს მომცემსო. თუ ასე გინდოდათ, რატომ დროზე არ მომმართეთო?»

ამის შემდეგ ჩვენთან მოვიდენ დეპუტატ-მკვანეთის რწმუნებულები: ამბაკო ურუშაძე, ყარამან სურგულაძე, ნოე თოიძე და დიომიდე სხალაძე. ჩვენთან მოსვლამდის მათ ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდათ ერმიდე ნაკუშაძესთან, რის შემდეგაც ზემოდასახელებული რწმუნებულები ძალიან უკმეხათ მოგვეშურენ: „ჩვენო,—სთქვეს მათ,—თქვენთან საუბარი არაფერი გვაქვს, არც მედიატორებში გამოგვგებით. ჩამოგვეხსენით ამ საქმეში, თორემ ოზურგეთში გვიცდიან, ჩვენ იძულებული შეგვქენით უკან გავბრუნებულიყავით. დეე მკითხველმა სახოგადოებამ დასდოს მსჯელი ვინაა მართალი: ჩვენ,—თუ დეპუტატ-მკვანეთის რწმუნებულები და ერმიდე ნაკუშაძე.

ახალშენის რწმუნებულები:
პაიჭაძე, ვარ. კალანდაძე.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

„შავი ბერი“. კვირას ვდ. მესხიშვილის სპენეფისოთ ქართულმა დრ. დასმა წარმოადგინა „შავი ბერი“, მოთხ. ან. ჩეხოვისა, გადმოკეთებული პიესათ დ. ტოლსტოის მიერ.

მოთხრობის შინაარსი მოკლეთ შემდეგია: მაგისტრი ანდრეი კოვრინი მეტის მეტი მეცნიერებით ძალზე დაიდგა, ამიტომ ქმეთის რჩეულთ ის მიდის დასასწავლებლათ ქალაქიდან სოფლათ—ეკორ ბესოცკის ოჯახში, რომელიც რაგორც მახსოვს, კოვრინის უოფილი პეკუნია. ბესოცკის სულ ხოლო ბადი აქვს, რომელსაც დიდის გულმოდგინებით უვლის და რომელიც დიდ შემოსავალს იძლევა. მას ვაჟი არა ჰყავს. ჰყავს მხოლოდ ერთი ქალი. დიდათ აწუხებს მას ის, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ამდენი ხნის ნაღვაწი, მისი საყვარელი საქმე დაიღუპება, ამიტომ ისე ეწუობა სქმე, რომ კოვრინს მოათხოვებს თავის ქალს ტანიას და დაამეცნებულათ, რომ მის ბადს ამის შემდეგ არა უშავს-რა, მარა კოვრინს გადაუტანიციის სახით ერთნაირი ავთმყოფობა დასჩემდება. ის ბევრს შრომობს და თავისი მეცნიერებით, თავის თავით ის კმაყოფილდა, რასაკვირველია. კოვრინის გადაუტანიციამ შექმნა რადაც თქმულება შავ ბერზე, შემდეგ ეს ბერი ხშირათ ეცხადება მას და ეუბნება ყოვლთვის ისეთ რამეებს, რაც კოვრინს მოსწონს, რაც მას ბედნიერათ ხდის. რასაც ფიქრობს კოვრინი თავის თავზე, საკუთარ დანიშნულებაზე ცხოვრებაში, იმასვე ეუბნება ბერიც. „შენ ავათ ხარ იმიტომ, რომ იმუშავე იმდენი, რამდენიც არ შეგეძლო, რასაც ვერ იტანდა შენი ორგანიზმი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შენი ჯანმრთელობა შენ შესწირე მსხვერპლათ იდეას და შორს არ არის ის დრო, როცა იმავე იდეას საკუთარ სიცოცხლესაც შესწირავ“, ეუბნება მას შავი ბერი. საზოგადოთ, ბერი ხშირათ ელაპარაკება კოვრინს ბედნიერებაზე, უკვდავებაზე და სხ. არწმუნებს, რომ ის მსწავლულია, გენიოსი; კოვრინის მსგავსი კაცები რომ არ იყოს ქვეყნათ, ყველფერი არარაობა იქნებოდა, ესენი არიან გმირები, გენიოსები, რომლებიც სიმართლეს ემსახურებიან და ამით კაცობრიობას დიდ სამსახურს უწევენ: სწირავენ მას თავიანთ ახალგაზდობას, ძალას, იდეას, ასე წარმოიდგინეთ, სიცოცხლესაც კი. ეს დიდებული ახრები კოვრინის მოსწონს, ის ბედნიერია. თავის ბედნიერებას ეს ავთმყოფი მსწავლული ხშირათ ბოლოთ გამოხატავს—შენ თუ ერთზე ედავებარკვები, ის მეორე, თავის ბედნიერების საკანზე გიბასუხებს. ამიტომ მისი ახლო ნათესავები სტირიან, მოსთქვამენ, მის განკურნებას ჰვიდებენ ხელს—წამლებს აძლევენ, საზოგადოება კი მას დასცინის რაგორც გკუაზე შერეულს. ჩვენის ახრით, სწორეთ აქ გამოხატება ჩეხოვის სუგეტური სახოგადოებისადმი, ვინაიდან—დასცინის ის თუ ექიმობს კოვრინს, ორივე შემთხვევაში მას ბედნიერებას უსპობს. თვითონ კოვრინი რასაკვირველია, თავს ბედნიერათ გრძნობს. მას არ უნდა განიკურნოს ასეთი ავთმყოფობისაგან, არ უნდა ცოტა ამუშაოს, გონება მიიდოს, შერჩეული სუეშელი სუკმას, გინაიდან მისი ახრით, „რაგორი ბედნიერები იყვენ ბუდა, მაჰმადი, შექსპირი, რომ თავიანთი კეთილები, ნათესავები, და ექიმები მათ არ ექიმობდენ ზეშთაგონების და ექსტაზების დროს. მაჭმადს რომ ვინები მიედო, დღე-დამეში მხოლოდ ორი საათი ემუშაა, ამ დიდებულ ადამიანისაგან არაფერი არ დარჩებოდა... ექიმები და საზოგადოთ კეთილი სალხი დაბოდის თავიანთი ექიმობით მთელს კაცობრიობას გამოაღუებენ—საშუალო ნიჭი გენიოსათ იქნება მიჩნეული, ცივილიზაცია დაიღუპება“... მარა კოვრინს მაინც არ ეშველებაინ, ექიმობენ და ამით მის ბედნიერებას სწამლავენ. კოვრინი კი ამბობს: „მე კარგათ გვრძნობ თავს, ბედნიერი ვარ, არავის ჩემი მოჩვენებებით ზარდი არ მოსდის—მაშასადამე, ჩემს კვლიუტანციაში ცუდი არაფერია. ბერიც არწმუნებს, რომ ის გენიოსია. კოვრინის შეკითხვაზე—რათ ეცხადება მას მოჩვენება თუ ის გენიოსია, ბერი უპასუხებს: „სადან იცი შენ, რომ გენიოს სალხს, რომელთაც ქვეყანა უკვრის, არ უნასვთ მოჩვენება. ეხლა უკვე ამბობენ, რომ გენიას შეშლილობასთან ნათესაობა აქვსო. ჯანმრთელი და ნორმალური მსოფლიო ქვეყნებრივი სალხია, რომელიც მხოლოდ ფურაში (стадо) გამოდგება. ასეთ ამბები მოსისეთ სალხს გააკვირვებს, რომელიც ცხოვრებას აწმეოში ხედავენ... ე. ი. ფურის (стадный) სალხს... კოვრინს მაინც სწამდობენ. საქმე მეტათ მწვავდება კოვრინსა, მის სიმამრსა და ცოლის შორის. ბესოცკი ფიქრობს: მე ვწამდობ, ვხარჯავ, მინდა ავათმყოფობისაგან გავჯკურნო, ის კი მეუბნება—რათ მწამდობ, რათ მისხობ ბედნიერებისო, შეურაცხყოფას მაყენებს:—შენ ჩვეულებრივი ადამიანი ხარ: მხოლოდ ფურაშეგმოდგება შენისთანა კაცით და სხვა...

დაბოლოს, გედარ ეწყობიან ერთმანეთს და ბესოცკის ოჯახს კოვრინი შორდება. ის მიდის მოსკოვში, შოლობს პროფესორის კათედრას, მარა მეტის მეტი ავთმყოფობისაგან დექცევს გედარ კითხულობს და მეცნიერებას გედარ ეკიდება. ის ჩერდება დრაებით სევასტოპოლში, სადაც მისი სიცოცხლის უკანასკნელი წამიც დგება, ის კვდება. სიკვდილის წინ ამბობს: „რა აუარებელი რამ მაქვს ცხოვრებას იმ ახრას, ანუ ჩვეულებრივი სიკეთისათვის, რაც მას შეუძლია მისცეს ადამიანს“—ამდენი შრომა, ამდენი ტანჯვა-წვალება და ნაყოფი—უბრალო პროფესორის კათედრა...

სევასტოპოლში სიკვდილის წინ ინახულებს კოვრინს მისი ყოფილი ცოლის ტანია და სწუვდება: „ოჰ ჩემო წუვდა! შენი მოზეზით მოკვდა მამაჩემი; მე მიგიბრალე შენ არაჩვეულებრივ ადამიანათ, გენიოსათ, შეგეყვარე—შენ კი შეშლილი გამოდექი“... კოვრინი უპასუხებს, რომ მათ ერმანეთის ვერა გაიგეს რა, აი რამაა საქმე! სიკვდილის ჟამს ცხადდება მას შავი ბერი და ეუბნება, რომ ის გენიოსია, რომ ის კვდება იმიტომ, რომ მისმა სუსტმა აგებულებამ დაჭარა ძალთა თანასწორობა და ვერ შეუძლია იყოს გენიოსის კარისხვეშ, მარა მისი სხეული ოქრას ასოებით ადიბეჭდება, ვინაიდან მან თავისი ნიჭი, სიცოცხლე, ძალა, ერთი სიტუვით, უკეთესი—იდეას შესწირა.

ეი მოკვდეთ მთელი მინისპირი. ჩვენის აზრით აქ ჩეხოვმა ერთმანეთს დაუპირდაპირა ჯანმთრელი ნორმალური სალხი, რომელნიც ჩვეულებრივ ადამიანებს წარმოადგენენ დედამიწაზე ფურაში გასარეკი სალხია და—არა ჩვეულებრივი, გენიოსი, რომელიც შრომობს იდეის უმაღლესი იდეალებისათვის, ბირველკლასური სალხი მოთხრობაში გამოყვანილია ბესოცკების სახით, მეორე—კოვრინის. მათ ერთმანეთის არაფერი ესმით და ამიტომ ორივე მხარე იტანჯება. ეს, რასკვირველია, ასე ხდება თუ ეს ორი ჯურის სალხი ერთმანეთის ნათესავ-მეგობრები არიან; გარეშე, ფურათ საზოგადოება კი კოვრინებს დასცინის, რადგან მისი გერა გაუგია რა და შეშლილი გვონია...

წარმოდგენა კარგათ ჩატარდა. კარგი იყო განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში ანრდილი (ე. ბოხრიდი) და მასთან მოდაპარაკე კოვრინი (ვდ. მესხიშვილი). მესხიშვილმა საზოგადოთ, მეშვეიდგრათ გადმოგვცა კოვრინის სულისკვეთება, მისი ტანჯვა... კარგი იყო ტანის როლში მ. მდივანი. ეგრე სემინარიის როლში კარგი იყო ივანიძე, თუმცა, ჩვენის აზრით, ბევრში რაგორც იტყვიან ის ამოდაშებდა...

საზოგადოება მრავლათ დასწრო.

მკითხველი.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე

განცხადება

კვილის საექიმო კაბინეთი
იოსებიდისა
(„გაუფრთხილდით კბილებს“-ის ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ორძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა. ნიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. კოლის გვერდით. (100—22)

ილი კავკასიის დეპო თესლეულობისა
ლარმესი
არსებობს 1872 წლიდან
№ 10 მიხაილოვის პროსპ. № 10
იყიდება
ახალი მოსავლის
თესლეულობა
გამოცდილი კარგის თვისებისა:
ბოსტნისა, ბალახისა და
ყვავილებისა, ხეებისა.
ს. საუკეთესო საკვები განრეკებისთვის არე ჩვენი გირგვლიანის დირს 25 კაპ. (10—3)

ბინა ყაზვინს თეირანის გზით. რაზმი მიუახლოვდა თეირანის შესავალ ალაყაფის კარს. ცოტა შეისვენა. ზოგი პაპიროსს სწევდა, ზოგი იარაღს და პატრონტაშს ისწორებდა... კვლავ დაიძრა რაზმი და მოულოდნელათ შევარდა ქალაქში, „იასშასუნ მარშრუტა“ იაგრიალა რაზმმა, რასაც მოჰყვა სროლა მაუზერ-თოფებისა და ბომბების გრიალი, რომლის ქუხილმაც მთელი ქალაქი შეარყია. რაზმი სროლით გაჰანდა დარხანისაკენ (გუბერნატორის სასახლისაკენ) მაგრამ ყველა მხრიდან მტრის სროლამ რაზმს გზა შეუკრა და ორ-პირ ცეცხლს შუა მოყვა. სასახლის გარეთ ჩასაფრებულ სარბაზებს სასახლეში მყოფმა ჯარმა ხალპების სროლით საშვალება მისცა ისინიც სასახლეში შეცვინულიყვენ, რომლებმაც გარეთ მიატოვეს სამოცამდე კარავი და სხვა მრავალი უმნიშვნელო რამეები და თავს უშველეს. დარხანის შესავალი კარი მაგრა მიკეტეს სარბაზებმა, ვერც ტყვიამ, ვერც ყუმბარამ ვერ იმოქმედა კარებზედ. ახლო მისვლაც კარებთან შეუძლებელი იყო, რადგანაც მთელი მიდამო გაჩაღებული იყო სხვადასხვა ფეროვანი საშუქებლებით. შუქში სროლა რევოლიუციონერებს არ შეეძლოთ, რისთვისაც მათ ჯერ საშუქებლების დახვრეტა დასჭირდათ. კარების განადგურება მხოლოდ ცეცხლს შეეძლო. მალე მოარბენიეს ვედროებით ნავთი. გარეთ მდგომი სადარაჯო ოთახი მთლიანათ მიათრიეს კარებთან, კარავებს, ხალიჩებს და რის დაწვა და ცეცხლის მოკიდება შეიძლებოდა, ყველაფერს ერთათ მოუყარეს თავი და საიდანაც შერკინულ კარებს ბოლო უჩანდა, გადაასხეს ნავთი, წაუკიდეს ცეცხლი, რომელიც ნელა მოედო კარებს და ხუთი საათის განმავლობაში ნაკვერჩხლათ აქცია. ეხლა კი შეცვივდენ რევოლიუციონერები სასახლის ალაყაფის კარებში, გაიფანტენ, ამოეფარენ კედლებს და ბრძოლაც გაჩაღდა. ეფრემი, პატარა—მიშა, აბრამა და რამდენიმე საუკეთესონი სასახლიდან გაექანენრეშტის გზისაკენ, გავიდენ ალაყაფის კარებში და ქარვასლაში ჩასაფრებულ მოსიახანს დაუწყეს ბრძოლა. ისედაც მცირე რაზმი (90 კაცი) აქეთ იქით დაიფანტა. ბევრი ლაჩარი, როდესაც მათი ამხანაგები იბრძოდენ და სისხლს ღვრიდენ, დუქნებში მიიმალენ და შორიდან უცქეროდენ რაც ხდებოდა. კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ დაიჭრა საშა, (იოსებ-ტატო) ტკიმანაური. მიშველე ძმებო—დაიძახა. იქვე ახლოს მტრის ცეცხლში გახვეული ილიკო მივარდა მას წელში დაებღაუჭა და ისე გზის პირას რუსაკენ მიათრევდა. ამ დროს ილიკოსაც მოხვდა შიგ გულში ტყვია და უგრძნობლათ დაეშვა მიწაზე.

ამ სურათის დანახვაზე დანარჩენი ამხანაგები გამწარდენ და შეუწყვეტელი სროლა გააჩაღეს. რამდენიმე ამხანაგი მიცვივდა დაჭრილებს და საავთმყოფოში წაიყვანეს. ალაყაფის კარებში მყოფ რაზმელებს გამარჯვების იმედი დაეკარგათ. ან რა შეეძლო შვიდ კაცს ოთხასთანო?!

მალე მათ წამოეშველათ ორმოცამდე კარგათ შეიარაღებული სპარსელები, რომლებიც საცვლების ამარა, დამკლავებულები, მხეცივით მისცვივდენ კავკასიელებს—„იაშასუნ გურჯი“ დასძახეს და მთელ სასახლეს კედლებიდან ზალპი მისცეს...

გურჯი სერგო.

(შემდეგი იქნება).